ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC)

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის კვლევის შუალედური ანგარიში

აგვისტო-სექტემბერი, 2012

სექტემბერი, 2012

თბილისი

ადამიანის უფლებათა ცენტრი არის უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაცია.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიზანია ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა მიმართ პატივისცემის გაზრდა და ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ხელშეწყობა.

ჩვენ ვთანამშრომლობთ საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, რომლებიც იზიარებენ იმ მსოფლმხედველობას, რომლის თანახმად, ადამიანის უფლებათა პატივისცემა წარმოადგენს დემოკრატიის განმტკიცებისა და მშვიდობის წინაპირობას საქართველოში.

ანგარიში მომზადებულია მიხეილ შარაშიძის და ნესტან ლონდარიძის მიერ

რედაქტირებულია უჩა ნანუაშვილის და ალეკო ცქიტიშვილის მიერ

ადამიანის უფლებათა ცენტრი მხარდაჭერისთვის მადლობას უხდის ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს საქართველოში, ფონდს „ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის“(NED) და ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტს.

ანგარიშში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის მხოლოდ ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორების შეხედულებებს.

ანგარიშში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის მხოლოდ ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორების შეხედულებებს.

National Endowment for Democracy
Supporting freedom around the world
THE NORWEGIAN HELSINKI COMMITTEE

დაფინანსებულია საქართველოში აშშ-ის საელჩოს დემოკრატიის განვითარების მცირე საგრანტო პროგრამის, ფონდის „ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის“(NED) და ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის მიერ.

სარჩევი

შესავალი 4

წინასაარჩევნო გარემოს შეფასების სტანდარტები და მონიტორინგის მიზანი 5

საქართველოში მიმდინარე საარჩევნო პროცესისათვის დამახასიათებელი ძირითადი ტენდენციები 7

მიმდინარე საარჩევნო პროცესში გამოყენებული სახელისუფლო რესურსის ფორმები 9

ხელისუფლების საკანონმდებლო რესურსის გამოყენება 13

ხელისუფლების ძალოვანი, საზედამხედველო და რეგულაციური (მმართველობითი) რესურსების გამოყენება 17

დასკვნა 18

შესავალი

საქართველოს პარლამენტის 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნები ქვეყნის ისტორიაში საკმაოდ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ახალი კონსტიტუციური ცვლილებების საფუძველზე, საქართველო გადადის მმართველობის ახალ - შერეულ ფორმაზე, რა დროსაც ოქტომბერში არჩეული პარალამეტის პოლიტიკურ-სამართლებრივი როლი ქვეყნის ცხოვრებაში საკმაოდ გაიზრდება.

არჩევნებამდე თითქმის ერთი წლით ადრე, პოლიტიკურ პროცესებში გამოჩნდა ახალი ოპოზიციური გაერთიანება - "ქართული ოცნების" სახელწოდებით და ძლიერი ფინანსური საშუალებებით ("ქართული ოცნების" ლიდერია საქართველოს უმდიდრესი ადამიანი - მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი). კოალიცია "ქართულ ოცნებაში" გაერთიანდა ძირითადი ოპოზიციური პარტიების ნაწილი, რამაც შექმნა მმართველი პარტიის - "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" რეალური საარჩევნო ალტერნატივა - პირველად ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. ამგვარი დიდი ოპოზიციური გაერთიანების ჩამოყალიბებამ, დადებითი ზეგავლენა უნდა მოახდინოს მომავალი საპარლამენტო არჩევნების რეალურად კონკურენტულ გარემოში ჩატარებაზე. თუმცა, ერთია რეალური პოლიტიკური კონკურენცია, ხოლო სხვა არის ის პოლიტიკურ-სამართლებრივი გარემო, რომელიც უზრუნველყოფს ამგვარი კონკურენციისათვის ხელსაყრელი სამართლებრივი პირობების შექმნას.

2012 წლის პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები საქართველოსთვის წარმოადგენს, პოლიტიკურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, ერთგვარ გარდამტეხ მოვლენას. ზუსტად ამ არჩევნების ჩატარების ხარისხზეა დამოკიდებული ქვეყნის მომავალი განვითარების და მისი ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის პერსპექტივები, რაც თავის მხრივ, ქართული საზოგადოების მყარი განვითარებისა და უსაფრთხოების ერთადერთ გარანტს წარმოადგენს.

როგორც 2012 წლის 3 სექტემბერს ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ქეტრინ ეშტონისა და სამეზობლო პოლიტიკის და გაფართოების კომისრის, სტეფან ფულეს ერთობლივ განცხადებაშია აღნიშნული, ევროკავშირს დიდი მოლოდინი გააჩნია პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისადმი, ვინაიდან მას ექნება გადამწყვეტი

მნიშვნელობა საქართველოს მომავალი დემოკრატიული განვითარების, აგრეთვე, ევროკავშირთან სამომავლო ურთიერთობების ხარისხისა და ინტენსივობისათვის.[1]

წინასაარჩევნო გარემოს შეფასების სტანდარტები და მონიტორინგის მიზანი

არჩევნები არ წარმოადგენს მხოლოდ ერთ - კენჭისყრის დღეს განვითარებულ მოვლენას. მონიტორინგის დროს, მნიშვნელოვანია, რომ გათვალისწინებული და გაანალიზებული იყოს ყველა ის ძირითადი მოვლენები, რომლებიც, საბოლოო ჯამში, შეადგენს მთლიან საარჩევნო პროცესს და ზეგავლენას ახდენს მისი სამართლიანობის ხარისხზე. მოცემულ კვლევაში წარმოდგენილი, მიმდინარე საარჩევნო პროცესისათვის დამახასიათებელი ძირითადი ტენდენციები უნდა შეფასდეს იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად ზემოქმედებს თითოეული, როგორც ცალკე, ისე ერთობლივად - წინასაარჩევნო გარემოს და ზოგადად, საარჩევნო პროცესის სამართლიანობაზე. ანალიზის მიზანია, განსაზღვროს, თუ რამდენად შეესაბამება საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ-სამართლებრივი პროცესები დემოკრატიული არჩევნებისათვის სავალდებულო საერთაშორისო და ეროვნულ სტანდარტებს. კერძოდ, გამოვლენილი დარღვევების პირობებში, რამდენად არის უზრუნველყოფილი რეალურად კონკურენტული წინასაარჩევნო გარემო, რომელიც განაპირობებს ამომრჩევლის მიერ რეალური და ინფორმირებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას. ამასთან, რამდენად თავისუფალ, სამართლიან და თანასწორ წინასაარჩევნო პირობებში უწევთ საქმიანობა შესაბამის საარჩევნო სუბიექტებს და მათ მხარდამჭერებს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლი განსაზღვრავს სახელმწიფოს დემოკრატიულობის პრინციპს. ამ მუხლის შესაბამისად, ხელისუფლების ერთადერთ წყაროდ საქართველოში მიიჩნევა ხალხი, საქართველოს მოქალაქეები. ისინი ***"...თავისი წარმომადგენლების მეშვეობით..."*** ახორციელებენ ძალაუფლებას, ხოლო წარმომადგენლებს კი, ირჩევენ თანასწორი და სამართლიანი საარჩევნო პროცესის

[1] http://www.consilium.europa.eu/uedocs/cms_Data/docs/pressdata/EN/foraff/132250.pdf

მეშვეობით. ამრიგად, არჩევნები წარმოადგენს იმგვარ ინსტიტუციურ მექანიზმს, რომელსაც მოქმედებაში მოჰყავს დემოკრატია.[2]

კონსტიტუციის იგივე მე-5 მუხლის თანახმად, ***"არავის არა აქვს უფლება მიითვისოს ან უკანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება***", ე.ი. ხელისუფლება განახორციელოს შესაბამისი სამართლიანი საარჩევნო პროცედურების და მის საფუძველზე მიღებული დემოკრატიული ლეგიტიმაციის გარეშე.

ამრიგად, ***"...იმისათვის, რომ შედგეს "ხალხის მმართველობა", ხალხმა უნდა მიიღოს მონაწილეობა პოლიტიკაში და ამის საუკეთესო გზა არჩევნებია."***.[3] საარჩევნო პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს ***"ხალხის მმართველობას"*** უნდა იყოს სამართლიანი. მისი სამართლიანობის განსაზღვრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია იმას, თუ რამდენად არის უზრუნველყოფილი მთელი ამ პროცესის მანძილზე თანასწორი საარჩევნო გარემო. ***"არჩევნების პროცესში სახელმწიფოს აქვს ვალდებულება თანასწორობის უზრუნველმყოფელი პირობების შემოღებისა. ამ პროცესში მისი ძირითადი ფუნქციაა, არ მოახდინოს ვინმეს შეზღუდვა ან პრივილეგირება გონივრული დასაბუთების გარეშე."***.[4]

ამრიგად, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო გარემო ნიშნავს, რომ ყველა საარჩევნო სუბიექტი სახელმწიფომ უნდა ჩააყენოს თანაბარ მდგომარეობაში. თავისთავად, სრული თანასწორობის მიღწევა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, გამომდინარე სხვადასხვა საარჩევნო სუბიექტების განსხვავებული, მათ შორის - ადმინისტრაციული და ფინანსური შესაძლებლობებიდან, მაგრამ სახელმწიფოს ვალდებულებაა, ამ, შეიძლება ითქვას, თავისთავად არსებულ უთანასწორობას არ დაუმატოს კიდევ უფრო დაუსაბუთებელი და გაუმართლებელი დისკრიმინაცია. ამასთან ერთად, პირველ რიგში შესაბამისი საარჩევნო კანონმდებლობა არ უნდა უშვებდეს ამგვარ დისკრიმინაციას და იგი ყველასთან მიმართებით ობიექტურად უნდა გამოიყენებოდეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამ კვლევის მიზანს წარმოადგენს საარჩევნო პროცესის, კერძოდ, წინასაარჩევნო პერიოდის შეფასება, მათ შორის, იმ თვალსაზრისითაც, თუ რამდენად სრულდება სახელმწიფოს ვალდებულება უზრუნველყოფილი იქნეს თანასწორი საარჩევნო გარემო.

---

[2] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე - ***"მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "ახალი მემარჯვენეები" და "საქართველოს კონსერვატიული პარტია" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".***

[3] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს იგივე გადაწყვეტილება.

[4] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს იგივე გადაწყვეტილება.

საქართველოში მიმდინარე საარჩევნო პროცესისათვის დამახასიათებელი ძირითადი ტენდენციები

საქართველოში მიმდინარე საარჩევნო პროცესის ძირითად დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ სახელმწიფო ხელისუფლების აბსოლუტურად ყველა დონეზე დომინირებს ერთი, მმართველი პარტია - "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" - რის გამოც, ხშირ შემთხვევებში, ძალზედ რთულია გაიმიჯნოს ხელისუფლების საქმიანობა მმართველი პოლიტიკური გუნდის საარჩევნო ინტერესებით ნაკანახევი საქმიანობისაგან, განსაკუთრებით კი - წინასაარჩევნო პერიოდში. ამიტომ, იქმნება შთაბეჭდილება, რომ წინასაარჩევნო ბრძოლაში ასევე ჩართულია ხელისუფლების ორგანოებიც, რაც, თავის მხრივ, უარყოფით ზეგავლენას ახდენს საარჩევნო გარემოზე. ***„ვიდრე არ იქნება ზღვარი სახელმწიფოსა და მმართველ პარტიას შორის, ეს კვლავ პრობლემად დარჩება და დაძაბულობასა და განხეთქილებებს გამოიწვევს."***[5]

წინასაარჩევნო პერიოდში ხელისუფლების მოქმედება, რომელშიც დომინირებს მხოლოდ ერთი - სახელისუფლებო პარტია, შეიძლება ითქვას, მთლიანად მიმართულია ახალი ოპოზიციური გაერთიანების - "ქართული ოცნების" - წინააღმდეგ. 2011 წლის ოქტომბრიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც მილიარდერმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა პოლიტიკური ოპოზიციური პარტიის დაარსების თაობაზე, პრობლემები შეექმნა ჯერ მას (მოქალაქეობის დაკარგვა, შემდეგ მოქალაქეობის მინიჭებაზე დაუსაბუთებელი უარის თქმა და ა.შ.), ხოლო მოგვიანებით კი, როდესაც მან დააფუძნა პლიტიკური ორგანიზაცია, პრობლემები შეექმნა ამ ორგანიზაციას და მის პოლიტიკურ პარტნიორებს (გაუთავებელი დაჯარიმებები და ქონების დაყადაღება). ამავე პერიოდში ბიძინა ივანიშვილთან ასოცირებულ კერძო იურიდიულ პირებსაც შეექმნათ პრობლემები, რაც ხშირ შემთხვევებში, ხელოვნურად იყო გამოწვეული.

ახალი ოპოზიციური ცენტრის გაჩენით ნაკარნახევი იყო პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონმდებლობაში და სისხლის სამართლის კოდექსში, აგრეთვე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა და ახალ საარჩევნო კოდექსში (რომელიც მიღებული იქნა 2011 წლის 28 დეკემბერს), 2011 წლის დეკემბერში

---

[5] http://www.ungeorgia.ge/userfiles/files/Press%20Statement%20-%20SR%20FoAA%20Georgia%20Mission.pdf

განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც მიმართული იყო, ძირითადად, პოლიტიკურ პროცესებში დიდი ფინანსების შემოსვლის შესაზღუდად. მიუხედავად იმისა რომ, თავისთავად, ამგვარი მიზანი - დიდი ფინანსური საშუალებების პოლიტიკაში შემოსვლის შეზღუდვა - ლეგიტიმურია, საკანონმდებლო ცვლილებებმა არაერთგვაროვანი შეფასებები გამოიწვია. საქართველოში მოღვაწე უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ აღნიშნული ცვლილებები უკიდურესად მკაცრია და რიგ შემთხვევებში, შეზღუდვები და, განსაკუთრებით კი, ამ შეზღუდვებისთვის გათვალისწინებული სანქციები არათანაზომიერი და არაადეკვატურია. ამასთან, იგივე ორგანიზაციების აზრით, ახალი საკანონმდებლო ცვლილებები მათი ზედმეტად ფართო განმარტების საშუალებას იძლევა, რის გამოც, შესაძლებელია მათი შერჩევითი გამოყენება - ხელისუფლებისათვის არასასურველი პოლიტიკური ძალების წინააღმდეგ.

საარჩევნო პროცესი მიმდინარეობს სხვადასხვა, არასახელისუფლებო ინფორმაციის საშუალებათა გავრცელებასთან დაკავშირებული შეზღუდვებით. კერძოდ, არასახელისუფლებო ტელეკომპანიები, მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, თავისი არხების დაფარვა განახორციელონ საქართველოს რეგიონებში. მართალია, საქართველოს პარლამენტმა მიიღო შესაბამისი საკანონმდებლო შესწორებები, რითაც წინასაარჩევნო პერიოდში, მხოლოდ კენჭისყრის დღემდე 2 თვის განმავლობაში, შესაბამისი საკაბელო ოპერატორები ვალდებულნი არიან, თავიანთ მომსახურების პაკეტში შეიტანონ არასახელისუფლებო ტელეარხებიც. თუმცა, საკაბელო ოპერატორები, ძირითადად, მოქმედებენ საქართველოს მსხვილ ქალაქებში, იმ დროს, როდესაც პროვინციებში, მოსახლეობის თითქმის 50 პროცენტისათვის, ალტერნატიული ინფორმაციის მიღების ერთადერთ საშუალებად კვლავ სატელიტური ანტენები რჩება.

ორმა არასახელისუფლებო ტელეარხმა გადაწყვიტა, შეღავათიანი განვადებით, რეგიონების მოსახლეობისათვის მიეყიდათ სატელიტური ანტენები, რითაც მოსახლეობა შეძლებდა, ხელისუფლებისადმი ლოიალურ ტელე-არხებთან ერთად, მიეღო, ასევე, არასახელისუფლებო არხებიც. თუმცა პროკურატურამ მათ მიერ შემოტანილი სატელიტური ანტენები დააყადაღა იმ მოტივით, რომ თითქოს ადგილი ჰქონდა ამომრჩევლის მოსყიდვას. ამდენად, რეგიონებში მოსახლეობის უმეტესი ნაწილი კვლავ მოკლებულია შესაძლებლობას, მიიღოს ალტერნატიული ინფორმაცია. ყოველივე ეს კი, საბოლოო ჯამში, ნეგატიურად იმოქმედებს ამომრჩეველთა მიერ ინფორმირებული არჩევნის გაკეთებაზე. ამასთან, სახელმწიფოს მაკონტროლებელი ორგანოების

გადაწყვეტილება, რომლითაც აღიკვეთა სატელიტური ანტენების გავრცელების შესაძლებლობა, წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს პარლამენტის მიერ აღიარებული ე.წ. must carry-ს პრინციპის ძირითად სულისკვეთებასთან.

წინასაარჩევნო გარემოს დამახასიათებელ მოვლენად იქცა მკვეთრი პოლარიზაცია, პოლიტიკური კონკურენტების მიმართ ირაციონალური სიძულვილის გამოხატვა და განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე პირთა, სახელმწიფო ინტერესებისადმი მტრულად განწყობილ ძალებად წარმოჩენა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამგვარი ფორმით მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართულია ხელისუფლების მთლიანი ვერტიკალი, მათ შორის უმაღლესი თანამდებობის პირები, რაც, გარკვეულ წილად, იწვევს ხელისუფლების ორგანოთა გაუმართლებელ პოლიტიზირებას და მათ გადაქცევას საარჩევნო ბრძოლის სუბიექტებად, რის გამოც, პოლიტიკური ოპოზიცია და მათი მხარდამჭერი ამომრჩეველი სახელმწიფოს მხრიდან ხშირად განიხილება არა როგორც მისი პარტნიორი, არამედ, როგორც საარჩევნო კონკურენტი. საარჩევნო პროცესში ხელისუფლების ამგვარმა მიკერძოებულმა ჩარევამ, შესაძლოა გამოიწვიოს დემოკრატიის უმთავრესი - ხალხის მმართველობის პრინციპის დარღვევა და ხელისუფლების წყაროს მონოპოლიზაცია ერთი მმართველი, სახელისუფლო ელიტის ხელში, რამაც შესაძლოა, საბოლოო ჯამში, თვით სახელმწიფოს არსებობასაც კი, დაუკარგოს აზრი.
ამრიგად, წინასაარჩევნო პროცესის მთავარ დამახასიათებელ ტენდენციას წარმოადგენს ხელისუფლების და მასთან ასოცირებული მმართველი პარტიის მხრიდან, ე.წ. სახელისუფლებო რესურსის აქტიური გამოყენება უშუალოდ საარჩევნო პროცესზე და მის შედეგზე ზემოქმედების მიზნით.

მიმდინარე საარჩევნო პროცესში გამოყენებული სახელისუფლო რესურსის ფორმები

საარჩევნო პროცესზე ზემოქმედების მიზნით სახელისუფლებო რესურსის გამოყენებაში, ჩვენ ვგულისხმობთ მოქმედი ხელისუფლების ნებისმიერ მოქმედებას, რომელიც უშუალოდ მიმართულია საარჩევნო პროცესზე ზემოქმედებისაკენ და რომლის მიზანსაც

წარმოადგენს კონკრეტული საარჩევნო სუბიექტის საარჩევნო შესაძლებლობების გაუმჯობესება ან პირიქით, გაუარესება.

სახელისუფლო რესურსს ხშირად აიგივებენ, საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ-მატერიალურ რესურსთან. თუმცა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ამ შემთხვევაში ვისაუბროთ მთლიანად სახელისუფლო და არა მხოლოდ ადმინისტრაციულ-მატერიალურ რესურსზე, ვინაიდან ამგვარ მოქმედებებს, ხშირად არამატერიალური ფორმა გააჩნია.

საქართველოს ორგანული კანონი "საქართველოს საარჩევნო კოდექსი", მხოლოდ ერთ მუხლში მოიცავს ე.წ. "ადმინისტრაციული რესურსის" განმარტებას და მისი გამოყენების აკრძალვას, კერძოდ, საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლში, რომლის სათაურია ***"წინასაარჩევნო აგიტაციისას და კამპანიისას ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების აკრძალვა***". ამრიგად, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, კოდექსის თანახმად, იკრძალება მხოლოდ წინასაარჩევნო აგიტაციის და კამპანიის დროს. წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 45-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ***"...იწყება არჩევნების დანიშვნის მომენტიდან."***. შესაბამისად, კოდექსის იგივე დებულების თანახმად, ***"საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატები ამ დღიდან სარგებლობენ თანასწორი უფლებებით ამ კანონით დადგენილი წესით."***. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ საარჩევნო კოდექსი არჩევნების დასანიშნად ადგენს, არჩევნებამდე არაუგიანეს 2 თვით განსაზღვრულ ვადას. ზუსტად აღნიშნული მოთხოვნის გათვალისწინებით, საქართველოს პრეზიდენტმა 2012 წლის პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები დანიშნა 2012 წლის პირველ აგვისტოს, რის გამოც, წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) დაწყების და, შესაბამისად, კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების აკრძალვაც, ამოქმედდა ზუსტად ამ პერიოდიდან. გასათვალისწინებელია ისიც, რომ წინასაარჩევნო პერიოდი სრულდება კენჭისყრის დღეს, აღნიშნულიდან გამომდინარე, კენჭისყრის დღეს, ასევე უნდა დასრულდეს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების აკრძალვაც.

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 48-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ***"...წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე ნებისმიერ პირს ეკრძალება რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის წარმოების პროცესში შემდეგი სახის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება:***

ა) სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ, აგრეთვე იმ ორგანიზაციების მიერ, რომლებიც ფინანსდებიან საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, დაკავებული შენობების გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ სხვა საარჩევნო სუბიექტებს არა აქვთ იმავე ან ანალოგიური დანიშნულების შენობების იმავე პირობებით გამოყენების შესაძლებლობა;

ბ) სახელმწიფო ხელისუფლების დაწესებულებებისათვის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ფინანსდებიან საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, განკუთვნილი საკომუნიკაციო საშუალებების, საინფორმაციო მომსახურებისა და სხვადასხვა სახის ტექნიკის გამოყენება;

გ) სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გამოყენება.".

კოდექსის აღნიშნული დებულებიდან გამომდინარე, აკრძალულია[6], მხოლოდ რიგი ადმინისტრაციულ-მატერიალური (შენობები, საკომუნიკაციო საშუალებები, ტრანსპორტი) რესურსების გამოყენება და ისიც, მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში, მაგალითად, როდესაც სხვა საარჩევნო სუბიექტს არ გააჩნია ანალოგიური რესურსების გამოყენების შესაძლებლობა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული რესურსის ის ჩამონათვალი, რომელთა გამოყენებაც აკრძალული ან შეზღუდულია, საკმაოდ ვიწროა და, ამავე დროს, ეს პირობითი შეზღუდვა, მოქმედებს, მხოლოდ განსაზღვრული - 2 თვიანი პერიოდის განმავლობაში.

შემდეგი აკრძალვა, რომელსაც საქართველოს საარჩევნო კოდექსი არ მოიხსენიებს, როგორც "ადმინისტრაციულ რესურსს", შეეხება საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებულ, მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში (მაშასადამე 2 თვის განმავლობაში), საბიუჯეტო თანხების, თანამდებობრივი ან სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებას. კოდექსის 49-ე მუხლის თანახმად, შესაბამის თანამდებობის პირებს, წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის დროს, ეკრძალებათ, *სამსახურებრივად დაქვემდებარებული ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის ჩაბმა ისეთ საქმიანობაში, რომელიც ხელს უწყობს კანდიდატის წარდგენას ან/და არჩევას;*

---

[6] აღნიშნულთან დაკავშირებით, შეგიძლიათ იხილოთ ადამიანს უფლებათა ცენტრის "2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის კვლევის შუალედური ანგარიში" შემდეგ ინტერნეტ მისამართზე: http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/HRIDC%20-20Election_Interim_Geo%20_2_.pdf

სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაფინანსებული სამსახურებრივი მივლინებების დროს ხელმოწერების შეგროვება და წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა; წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას. ამასთან, სახელმწიფო პოლიტიკურ თანამდებობის პირებზე არ ვრცელდება, სამსახურეობრივი ფუნქციების შესრულებისას წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის აკრძალვა.

საარჩევნო კოდექსის იგივე 49-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, *"არჩევნების დანიშვნის დღიდან არჩევნების შედეგების შეჯამებამდე აკრძალულია ისეთი პროექტების განხორციელება, რომლებიც მანამდე არ იყო გათვალისწინებული სახელმწიფო/ადგილობრივ ბიუჯეტში, ასევე იმ საბიუჯეტო პროგრამების ზრდა, რომლებიც არჩევნებამდე გათვალისწინებული იყო ბიუჯეტით, არაგეგმური ტრანსფერების ინიციირება ან გეგმური ტრანსფერის ზრდა ადგილობრივ ბიუჯეტში. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ხარჯების შეჩერება."*.[7]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მხოლოდ საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული ე.წ. "ადმინისტრაციული რესურსის", როგორც საარჩევნო პროცესზე ხელისუფლების ზემოქმედების ერთადერთი ფორმის განხილვა, არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად. ის მოქმედებები, რომლებიც ხორციელდება ხელისუფლების მიერ, უშუალოდ არჩევნების შედეგებზე ზემოქმედების მიზნით გაცილებით ფართოა და არ შემოიფარგლება მხოლოდ კოდექსით გათვალისწინებული "ადმინისტრაციული რესურსით". აქ უნდა ვიგულისხმოთ ხელისუფლების, როგორც ერთიანი სახელისუფლო კორპორაციის და მისი წევრების ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც პირდაპირ, თუ არაპირდაპირ ზემოქმედებს შესაბამისი საარჩევნო სუბიექტების თანასწორობაზე. რა თქმა უნდა, აქ არ იგულისმება, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ხელისუფლებამ უნდა შეწყვიტოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც უკავშირდება მისი ფუნქციების განხორციელებას. ამასთან, თითქმის ყოველთვის, დემოკრატიულ სახელმწიფოში, ხელისუფლებას ახორციელებს ერთი ან რამოდენიმე პოლიტიკური გუნდი (პარტია ან კოალიცია), თუმცა ამგვარმა საქმიანობამ ხელისუფლების ინსტიტუტები არ უნდა აქციოს

---

[7] ამგვარი სახელისუფლო რესურსების გამოყენების აკრძალვის ეფექტურობასთან დაკავშირებით, იხილეთ ადამიანს უფლებათა ცენტრის "2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის კვლევის შუალედური ანგარიში" შემდეგ ინტერნეტ მისამართზე: http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/HRIDC%20-20Election_Interim_Geo%20_2_.pdf

საარჩევნო ბრძოლის სუბიექტად, რომელიც ერთგვარ დისბალანს შეიტანდა წინასაარჩევნო გარემოში.

საქართველოში მიმდინარე წინასაარჩევნო პროცესზე დაკვირვების საფუძველზე, შესაძლებელია გამოვყოთ ადმინისტრაციული საარჩევნო რესურსების შემდეგი ფორმები:

1. ***საკანონმდებლო რესურსი*** - როდესაც ხელისუფლება იყენებს თავის საკანონმდებლო უფლებამოსილებებს კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფისათვის გარკვეული საარჩევნო უპირატესობების მინიჭების ან პირიქით, შეზღუდვის თვალსაზრისით;

2. ე.წ. ***რეგულაციური (მმართველობითი) რესურსი*** - ანუ საარჩევნო მიზნებიდან გამომდინარე სახელისუფლებო უფლებამოსილებების გამოყენება;

3. ე.წ. ***ძალოვანი რესურსები*** - როდესაც ხდება ხელისუფლების შესაბამისი სამართლადამცავი, ძალოვანი, ან საზედამხედველო ორგანოთა გამოყენება არჩევნების შედეგებზე პირდაპირი თუ არა პირდაპირი ზემოქმედების მიზნით;

4. ***ფინანსური რესურსი*** - როდესაც ხდება უშუალოდ საბიუჯეტო ხარჯების გამოყენება არჩევნებში მონაწილე რომელიმე მხარის სასარგებლოდ;

5. ე.წ. ***მედია რესურსი*** - როდესაც ხდება სახელისუფლებო, ან სხვაგვარად ხელისუფლების კონტროლის ქვეშ არსებული მედია საშუალებების ბოროტად გამოყენება.

მომდევნო თავში განხილული იქნება დასახელებული სახელისუფლო რესურსების გამყენების კონკრეტული შემთხვევები. ამასთან, ამ რესურსების გამოყენების შემთხვევები უნდა იქნეს განხილული და შეფასებული იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად ზემოქმედებს თითოეული მათგანი, როგორც ცალკე, ისე ერთობლივად, მთლიანი საარჩევნო პროცესის თანასწორ და სამართლიან გარემოში ჩატარებაზე.

ხელისუფლების საკანონმდებლო რესურსის გამოყენება

დემოკრატიულად ორგანიზებული საზოგადოების ძირითადი დამახასიათებელი არის ის, რომ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ფორმირება ყოველთვის ხდება არჩევნების გზით. არჩევნები რომ დემოკრატიულად ჩაითვალოს, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა იმგვარი საარჩევნო კანონმდებლობის არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებას. ამავე დროს, მხოლოდ კარგი საარჩევნო კანონმდებლობის არსებობა არ არის გადამწყვეტი არჩევნების სამართლიანობის

განსაზღვრისას. არანაკლებ მნიშვნელოვანია, როგორ სრულდება კანონმდებლობა მის შესრულებაზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციის მიერ.

საქართველოში არჩევნების საკანონმდებლო ბაზა შედგება კონსტიტუციისგან (1995), საქართველოს საარჩევნო კოდექსისგან (საქართველოს ორგანული კანონი, რომელიც მიღებულია 2011 წლის 27 დეკემბერს და ძალაში შევიდა 2012 წლის 10 იანვარს), "მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონისაგან, ასევე სისხლის სამართლის კოდექსისგან, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისგან და საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებრივი აქტებისგან.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მმართველი პარტია - "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" - საქართველოს პარლამენტში ფლობს აბსოლუტურ უმრავლესობას. მათთვის აბსოლუტურად ხელმისაწვდომია როგორც შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციების მიღება, ისე კონსტიტუციური ცვლილებების პარლამენტში გატანა, თუნდაც, მხოლოდ კონკრეტული პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე.

ასე, მაგალითად, საპარლამენტო არჩევნებამდე 9 თვით ადრე საქართველოს პარლამენტმა მე-3 მოსმენით მიიღო ახალი ორგანული კანონი - "საქართველოს საარჩევნო კოდექსი", ასევე, "მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც უკავშირდება პარტიათა დაფინანსების შეზღუდვის და ამომრჩეველთა მოსყიდვის საკითხებს.

აღსანიშნავია, რომ საარჩევნო კოდექსის პროექტზე მუშაობის დასრულებას წინ უსწრებდა 8 ძირითადი ოპოზიციური პარტიის (ე.წ. „ოპოზიციური რვიანის") გაცხადებული სურვილი, ხელისუფლებასთან დიალოგის გზით, მონაწილეობა მიეღოთ საარჩევნო კანონმდებლობისა და სისტემის სრულყოფაში. პირველ ეტაპზე შეინიშნებოდა გარკვეული პროგრესი ამ მიმართულებით, თუმცა საბოლოოდ, საარჩევნო სისტემაზე ფართომაშტაბიანი პოლიტიკური შეთანხმება არ იქნა მიღწეული და ე.წ. "ოპოზიციური რვიანი" დაიშალა. ამ მოლაპარაკებებში მმართველ პარტიას გააჩნდა მთავარი უპირატესობა, კერძოდ, შესაბამისი კონსენსუსის მიუღწევლობის შემთხვევაში, მაინც მიეღო საკანონმდებლო გადაწყვეტილება, რის გამოც, შესაბამისი კონსენსუსის მიღწევა, მხოლოდ მათ კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული. ამდენად, საქართველოს პარლამენტის

მიერ, 2011 წლის დეკემბერში მიღებული იქნა ძირითადი საარჩევნო კანონმდებლობა ისე, რომ იგი არ ეფუძნებოდა ფართო პოლიტიკურ შეთანხმებას.[8]

2011 წლის 27 დეკემბერს საპარლამენტო არჩევნებამდე 9 თვით ადრე, საქართველოს პარლამენტმა მიიღო შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილება-დამატებები "მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში. ამ ცვლილებებით, მოხდა პოლიტიკური პარტიების დაფინანსებისათვის სპეციალური, გამკაცრებული რეგულაციების შემოღება.[9]

არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ეს ბოლო ცვლილებები გამოწვეული იყო ახალი ოპოზიციური გაერთიანების "ქართული ოცნების" გამოჩენით. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ "ქართული ოცნების" ლიდერი მილიარდელი ბიძინა ივანიშვილია და შესაბამისად, მისი პოლიტიკური კოალიცია, პოტენციურად, ძლიერი ფინანსური შესაძლებლობების მქონე პირს წარმოადგენს.

გასათვალისწინებელია ის, რომ საარჩევნო კოდექსისაგან განსხვავებით, პოლიტიკური გაერთიანებების დაფინანსების შესახებ საკანონმდებლო პროექტის განხილვა არ მომხდარა ვენეციის კომისიაში (ევროპის საბჭოს კომისია "დემოკრატია სამართლის მეშვეობით"). რა თქმა უნდა, ვენეციის კომისიაში საკანონმდებლო პროექტის ექსპერტიზა არ წარმოადგენს ხელისუფლების ვალდებულებას, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება მზადდება, დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, თითქმის ყოველთვის ხელისუფლება თანამშრომლობს ხოლმე ამ ავტორიტეტულ ორგანოსთან.

პარტიათა დაფინანსების ახალი რეგულაციებით, გართულდა პარტიათა დაფინანსების წესი, შიზღუდა პარტიათა შემომწირველების წრე (კერძოდ, ამ წრიდან ამოღებული იქნა ირურიდიული პირები), გამკაცრდა ამ რეგულაციების დარღვევისათვის გათვალისწინებული სანქციები. შეცვლილი კანონმდებლობით, თუკი, პარტიათა დაფინანსებაზე კონტროლს ახორციელებდა ცესკო, რომელიც კოლეგიალური ორგანოა და მასში მეტ-ნაკლებად წარმოდგენილია, მათ შორის ოპოზიციური პოლიტიკური

---

[8] ის ძირითადი ხარვეზები, რომელიც ახასიათებს საქართველოს საარჩევნო კოდექს შეგიძლიათ იხილოთ ადამიანს უფლებათა ცენტრის "2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის კვლევის შუალედური ანგარიში" შემდეგ ინტერნეტ მისამართზე:
http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/HRIDC%20-20Election_Interim_Geo%20_2_.pdf

[9] ადამიანს უფლებათა ცენტრის "2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის კვლევის შუალედური ანგარიში" შემდეგ ინტერნეტ მისამართზე:
http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/HRIDC%20-20Election_Interim_Geo%20_2_.pdf

ჯგუფებიც და იგი ერთპარტიული ხელისუფლებისაგან უფრო მეტი დამოუკიდებლობით სარგებლობს, ეს უფლებამოსილება მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს (იმჟამად, მას ეწოდებოდა საქართველოს კონტროლის პალატა), რომელიც უფრო ცენტრალიზებული ორგანოა და მისი ხელმძღვანელი ირჩევა პარლამენტის მიერ, რომელშიც აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენს ე.წ. სახელისუფლებო პარტია.

"მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში 2011 წლის 27 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, რითაც ჩამოყალიბდა პარტიათა დაფინანსებასთან დაკავშირებული გამკაცრებული შეზღუდვები, პარტიათა ფინანსებზე ზედამხედველობის განხორციელება, როგორც უკვე აღინიშნა, დაეკისრა საქართველოს კონტროლის პალატას (2012 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების თანახმად, კონტროლის პალატას ამჟამად ეწოდება სახელმწიფო აუდიტის სამსახური).

მაშინდელი კონტროლის პალატის ძირითად ფუნქციას განსაზღვრავდა საქართველოს კონსტიტუციის 97-ე მუხლი. აღნიშნული მუხლის თავდაპირველი რედაქციით, საქართველოს კონტროლის პალატის უფლებამოსილებაში შედიოდა, მხოლოდ ***"სახელმწიფო სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯვაზე"*** ზედამხედველობა. კონტროლის პალატის დასახელებული, კონსტიტუციით განსაზღვრული კომპეტენცია და ასევე, მისი სახელწოდება შეიცვალა, მხოლოდ 2012 წლის 22 მაისის კონსტიტუციური ცვლილებით. 2012 წლის 22 მაისს საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილება-დამატებების შესაბამისად კი, უკვე სახელმწიფო აუდიტის სამსახურად ჩამოყალიბებულ, ყოფილი კონტროლის პალატის კომპეტენციაში შევიდა ***"საჯარო სახსრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯვაზე"*** ზედამხედველობა - ანუ, მათ შორის, პოლიტიკური პარტიების არასახელმწიფო სახსრებზე ზედამხედველობა, მაშასადამე - უფლებამოსილება, რომელსაც ეს ორგანო ისედაც ახორციელებდა 2011 წლის 27 დეკემბერს პარტიათა შესახებ კანონში შესული ცვლილების თანახმად. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ 2011 წლის 27 დეკემბრიდან 2012 წლის 22 მაისამდე კონტროლის პალატა ახორციელებდა საქმიანობას, რომელიც არ შედიოდა კონსტიტუციით განსაზღვრულ მის უფლებამოსილებაში. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული, შესაძლებელია წარმოადგენდეს მნიშვნელოვან კონსტიტუციურ-სამართლებრივ დარღვევას და იგი დეტალურად უნდა იქნეს შესწავლილი, ყველა, ამ შესაძლო დარღვევიდან გამომდინარე იურიდიული შედეგების კონსტიტუციურობის თვალსაზრისითაც.

ის, თუ რატომ გამორჩა საქართველოს კანონმდებელს ამგვარი მნიშვნელოვანი კონსტიტუციური ცვლილების განხორციელება და თვით, სამართლის უზენაესობის პრინციპიც კი - ამაზე შესაძლებელია მხოლოდ ვარაუდი. თუმცა, მიგვაჩნია, რომ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება აუცილებლად უნდა აღინიშნოს. კერძოდ, შესაბამისი ორგანული კანონისაგან განსხვავებით, კონსტიტუციური ცვლილების მისაღებად, საჭიროა უფრო რთული საკანონმდებლო პროცედურა, რომელიც, ამავე დროს, უფრო ხანგძლივ ვადებთან არის დაკავშირებული. ამასთან, სავალდებულოა კონსტიტუციური ცვლილების კანონპროექტის, მინიმუმ ერთ თვიანი სახალხო განხილვა, რის გამოც, შეუძლებელია კონსტიტუციური ცვლილების ისეთივე შემჭიდროვებულ ვადებში განხორციელება, როგორც ეს, თუნდაც ორგანული კანონის შემთხვევაშია შესაძლებელი.

თავისთავად, კონსტიტუციური ცვლილებების განხილვისა და მიღების განსაკუთრებული პროცედურა, გამომდინარეობს სამართლის უზენაესობის პრიცნიპიდან, რომლის შესაბამისადაც, კანონის (განსაკუთრებით კი კონსტიტუციური ცვლილებების) მიღების დროს უნდა იქნეს გათვალისწინებული მრავალი მნიშვნელოვანი მოთხოვნები, რომლებიც, ასევე აღნიშნულია ვენეციის კომისიის მიერ 2011 წლის 4 აპრილს დამტკიცებულ შესაბამის მოხსენებაში.[10]

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლების მიერ მის ხელთ არსებული საკანონმდებლო რესურსი, წინასაარჩევნოდ იქნა საკმაოდ ნეგატიურად გამოყენებული.

ანალოგიური მეთოდით იქნა მიღებული, კიდევ რამოდენიმე საკანონმდებლო ცვლილება, რომლებიც მიზანმიმართულად იქნა გამოყენებული, მაგალითად, მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის სახელთან დაკავშირებულ ბანკ "ქართუსთან" მიმართებით, რის გამოც ბანკმა თითქმის 200 მილიონი ლარის ზარალი ნახა.[11]

ხელისუფლების ძალოვანი, საზედამხედველო და რეგულაციური (მმართველობითი) რესურსების გამოყენება

თითქმის მთელი წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში, დაფიქსირდა უამრავი ფაქტი, როდესაც ხელისუფლების საზედამხედველო და სამართალდამცველი ინსტიტუტები პირდაპირ ზეგავლენას ახდენდნენ, როგორც კონკრეტულ ამომრჩევლებზე, ისე საარჩევნო

---

10 http://www.venice.coe.int/docs/2011/CDL-AD(2011)003rev-e.pdf

11 http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14108&lang=geo

სუბიექტებსა და მათ აქტივისტებზე. ამ თვალსაზრისით გამოირჩევა, ძირითადად შემდეგი სახელმწიფო ორგანოები: სამართალდამცველი ორგანოები (ძირითადად პოლიცია და შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანაყოფები), სასამართლო ორგანოები (რომლებიც თითაქმის ყოველთვის იზიარებენ პოლიციის, პროკურატური და სხვა საზედამხედველო ორგანოების შუამდგომლობებს პოლიტიკურიად აქტიური პირების ქონების დაყადაღების, მათი ადმინისტრაციულ პატიმრობაში მოთავსების და სხვა შემთხვევებში), სახელმწიფო აუდიტის სამსახური, ასევე, ცენტრალური თუ ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა თანამშრომლები და მათი ოჯახის წევრები.
ქვემოთ მოყვანილია, ძირითადად 2012 წლის აგვისტო-სექტემბერში, ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მიერ განხორციელებული კონკრეტული მოქმედებები, რომლებიც პირდაპირ, თუ არაპირდაპირ ზეგავლენას ახდენს თანასწორ წინასაარჩევნო გარემოზე.

დასკვნა

მონიტორინგის შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი პრობლემები: **ადამიანის უფლებათა ცენტრის გრძელვადიანი დამკვირვებლების მიერ, თითქმის ბოლო 2 თვის განმავლობაში დაფიქსირდა, ხელისუფლების ძალოვანი, საზედამხედველო და რეგულაციური რესურსების გამოყენების დაახლოვებით 87 შემთხვევა, რომელთაგან 10 შემთხვევა შეეხება უშუალოდ ჟურნალისტური საქმიანობისათვის უკანონოდ ხელის შეშლას, ხოლო 50 შემთხვევა კი, უკავშირდება ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მხრიდან განხორციელებულ, პოლიტიკური ნიშნით ზეწოლისა და ანგარიშსწორების ფაქტებს, აგრეთვე 27 პოლიტიკური ნიშნით დაკავების სავარაუდო ფაქტებს. ჩვენი მონიტორების მიერ დაფიქსირდა ე.წ. ადმინისტრაციული ადამიანური და ფინანსური რესურსების წინასაარჩევნოდ გამოყენების 17 შემთხვევა.**

ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება მმართველი პარტიის მიერ; პოლიტიკური ნიშნით ადამაინების დევნა, რომლის მასშტაბები საგანგაშოა უკვე (60 ზე მეტი ქართული ოცნების აქტივისია დაკავებული), ეჭვები ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებით. მედია კვლავ ზეწოლის ქვეშაა და სატელიტებზე ყადაღა

არ მოხსნილა. უკიდურესად დიდი სანქციები და ჯარიმები შეუძლებელს ხდის მთავარი პოლიტიკური ოპოზიციური კოალიციის მუშაობას.

ბოლო დღეებში საქართველოს ხელისუფლებამ და მმართველმა პარტიამ - ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ მკაცრი კრიტიკა ერთბაშად ორი საერთაშორისო ფრონტიდან მიიღო. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მომხსენებლებმა და ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის წინასაარჩევნო მისიამ საქართველოში არსებულ ვითარებაზე შეშფოთება გამოხატეს და ხელისუფლებას წინასაარჩევნოდ ყველა პარტიისთვის თანაბარი პირობების შექმნა მოსთხოვეს.

წინაისტორია

საერთაშორისო დამკვირვებლების შეფასებებს წინ უსწრებდა საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებები, რომლებშიც არაერთხელ დაიგმო ხელისუფლების მოქმედებები ოპოზიციის წინააღმდეგ. კერძოდ, არასამთავრობო სექტორი ყურადღებას ამახვილებდა ისეთ ფაქტებზე, რითაც ფერხდებოდა 1 ოქტომბერს დანიშნული საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პროცესი.

კოალიციამ „არჩევნის თავისუფლებისათვის“ ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს გაამახვილა ყურადღება იმ არაჯანსაღ ვითარებაზე, რასაც შეეძლო ზემოქმედება მოეხდინა წინასაარჩევნო პროცესზე. 2011 წლის დეკემბერში კოალიციამ გამოაქვეყნა მედიის პრობლემების ანალიზი და წინასაარჩევნო პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებული ადამიანის უფლებებ ის დარღვევის ფაქტები.

ივლისში, როცა წინასაარჩევნო ვითარება განსაკუთრებით დაიძაბა, საერთაშორისო ორგანიზაციაAmnesty International–მა პირდაპირ მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, შეწყვიტოს ძალადობა ოპოზიციის წინააღმდეგ. „მაშინ, როცა საქართველოს მოქალაქეები ემზადებიან ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობისათვის, „საერთაშორისო ამნისტია“ შეშფოთებულია იმ ფაქტით, რომ ხელისუფლება ვერ უზრუნველყოფს ოპოზიციის მხარდამჭერთა და ჟურნალისტთა დაცვას პოლიტიკურად გამიზნული ძალადობისგან“, - აღნიშნულია Amnesty International-ის

განცხადებაში, სადაც ჩამოთვლილია ოპოზიციური გაერთიანება „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ რეგიონებში მომხდარი ინციდენტები.

რეგიონებში ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვის, პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლების, ზეწოლის, საქმიანობაში ხელის შეშლის, ასევე - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების ფაქტებს ადგილობრივი მედიაც აღნუსხავს (იხ. მცხეთა – მთიანეთი – წინასაარჩევნო დაიჯესტი N1 და კახეთი – წინასაარჩევნო დაიჯესტი N1) .

სამოქალაქო საზოგადოება შეშფოთებით შეხვდა წინასაარჩევნო პერიოდში Global TV-ს სატელიტური ანტენების დაყადაღებას, რასაც შემდეგ მოჰყვა ტელეკომპანია „მაესტროს“ ანტენების დაყადაღება და სამოქალაქო საზოგადოების პროტესტი.

არასამთავრობო სექტორის განსაკუთრებული კრიტიკა კი კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის, ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ გატარებულმა არაადეკვატურმა და არაპროპორციულმა ფინანსურმა სასჯელებმა გამოიწვია, რომელთა შორის ყველაზე დიდი სანქცია იყო 15 ივნისს სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ოპოზიციური კოალიციის „ქართული ოცნების“ ლიდერს ბიძინა ივანიშვილს 74.32 მლნ ლარის ოდენობის ჯარიმის გადახდა დაეკისრა. ივლისის ბოლოს ბიძინა ივანიშვილმა ეს ჯარიმა გადაიხადა იმ პირობით, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში ასახული ახალი შემოსავალი კახეთში სტიქიით დაზარალებულებს მოხმარდებოდა.

პარალელურ რეჟიმში სახელმწიფო აუდიტის სამსახური პერიოდულად აყადაღებდა „ქართული ოცნების“ აქტივისტებისა და კოალიციაში შემავალი პარტიების ანგარიშებს. ამ სამსახურის კვალდაკვალ ეროვნული აღსრულების ბიურო ოპერატიულად, სწრაფი ტემპით მუშაობდა დაყადაღებული ქონების აუქციონზე გასატანად და გასაყიდად. განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე მოქალაქეთა მასობრივმა დაყადაღებამ ბოლოს მეტად ტრაგიკული, მაგრამ ამავე დროს სატირული ფორმები მიიღო.

შეშფოთებული მისია

ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის წინასაარჩევნო მისიამ, რომელიც საქართველოს სამდღიანი ვიზიტით სტუმრობდა, შეშფოთება გამოთქვა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის „საეჭვო გადაწვეტილებებზე“, ასევე „მკაცრ“ და „არაპროპორციულ“ ფინანსურ ჯარიმებზე, რომლებიც „როგორც ჩანს, გამოიყენება შერჩევითად, ძირითადად ერთი პოლიტიკური სუბიექტის“ წინააღმდეგ.

ოთხი წევრისგან შემდგარმა მისიამ, რომელშიც ეუთო-ს საპარლამენტოს ასამბლეის მაღალი თანამდებობის პირები შედიოდნენ, ასევე შეშფოთება გამოთქვა სასამართლო სისტემასთან დაკავშირებით და იმედი დაიტოვა, რომ არჩევნებადმე დარჩენილ დროში ხელისუფლება შეძლებს „ყველა პარტიისთვის თანაბარი პირობების შექმნას“.

„ინტერპრესნიუსის“ ცნობით, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაცია წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგის მიზნით თბილისს 20 აგვისტოს ეწვია. სამდღიანი ვიზიტის ფარგლებში დელეგაცია შეხვდა როგორც სახელისუფლებო, ისე ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს, უწყებათაშორისი კომისიისა და საქართველოს პარლამენტის წევრებს.

მისიის საქართველოში ვიზიტის მიზანი ქვეყანაში წინასაარჩევნო გარემოს შეფასება იყო. „სივილ ჯორჯიას“ ცნობით, მისიის შემადგენლობაში შედიოდნენ: მისი ხელმძღვანელი, ხორვატიის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ტონინო პიცულა; ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი რიკარდო მილიორი; ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის გენერალური მდივანი სპენსერ ოლივერი და საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის ადმინისტრაციის დირექტორი რობერტო მონტელა.

ვიზიტის დროს დელეგაცია შეხვდა ხელისუფლების, მმართველი პარტიის, ოპოზიციის, საარჩევნო ადმინისტრაციის, მედიისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს, ასევე თბილისში მომუშავე საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენლებს.

„მივესალმებით პოზიტიურ ცვლილებებს საქართველოს საარჩევნო სისტემაში და წინასაარჩევნო ძალისხმევას, რომელიც მიზნად ამომრჩეველთა სიის დაზუსტებას, ასევე საარჩევნო კამპანიის ფინანსების გამჭვირვალობას და ქვეყნის მასშტაბით მედიის ხელმისაწვდომობას ისახავდა მიზნად, მაგრამ არ გვინდა ბრმები ვიყოთ და არ დავინახოთ პრობლემები ამ ქვეყანაში. ჩვენ პრობლემები თითქმის ყველა თანამოსაუბრესთან განვიხილეთ. ვხედავთ რამდენიმე პრობლემას - შეიძლება ეს იყოს არაობიექტურობა, სამართალდამცავი ინსტიტუტების მოქმედებებში, ძირითადად ეს შეიძლება იყოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური. ამ ინსტიტუტების მოქმედებები განვიხილეთ ექსპერტებთან და დაინტერესებულ მხარეებთან და გავაფრთხილეთ, რომ ისინი მოქმედებენ „არანათელი“ ინსტრუქციებით. ჩვენი შეშფოთების მეორე საკითხია სასამართლო. გვინდა ვიხილოთ ნათელი და ნაკლებად არაობიექტური ინსტრუქციებით მოქმედება და ნეიტრალუირი ჩარევა სხვადასხვა საქმეებში. საკმაო დროა ამ პრობლემების გასასწორებლად. რასაც ვხედავთ, არის საზოგადოების დიდი პოლარიზაცია. შეიძლება ვცდები, მაგრამ პოლიტიკური მეტოქეები, თანამდებობის პირები და ოპოზიცია, როგორც ჩანს, საერთო ფასეულობებს არ იზიარებენ. ჩვენ გვინდა ვიხილოთ არჩევნები, როგორც დემოკრატიის ზეიმი საქართველოში“, - განაცხადა ტონინო პიცულამ.

მისივე თქმით, იმ რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით, რომლებიც მისიის შეშფოთებას იწვევს, მისიის წევრები მონიტორინგს კვლავ ყურადღებით გააგრძელებენ და თვალყურს მიადევნებენ პროცესებს.

„ჩვენ ვხედავთ ქვეყანაში მზარდ პოლიტიკურ პოლარიზებას. ჩვენს შეშფოთებას განსაკუთრებით იწვევს კანონის ზოგიერთი აღმსრულებელი ორგანოს მიერ გამოყენებული პრაქტიკა. ჩვენი ხედვით, სახელმწიფო აუდიტის სამსახური იყენებს ფართო დისკრეციულ უფლებამოსილებას, რათა გამოიძიოს კერძო პირისა თუ პარტიის ხარჯები, იღებს საეჭვო გადაწვეტილებებს და მკაფიო ან გამჭვირვალე ინსტრუქციების [guidelines] გარეშე აკისრებს მკაცრ ფინანსურ ჯარიმებს. დაკისრებული ჯარიმები არის არაპროპორციული და, როგორც ჩანს,

გამოიყენება შერჩევითი ფორმით, ძირითადად - ერთი საარჩევნო სუბიექტის წინააღმდეგ“, - აცხადებს ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის წინასაარჩევნო მისიის ხელმძღვანელი და დასძენს: „სამართლიანი და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა ასევე არის ფუნდამენტალური, რათა უზრუნველყოფილ იქნას თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარება... ამ ვიზიტის შემდეგ, ჩვენ გვაქვს შეშფოთების საფუძველი, თუ რამდენად არის შესაძლებელი სასამართლო სისტემის მხრიდან, მიიღო შესაფერისი სამართლებრივი დაცვის საშუალება“.

ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა რიკარდო მილიორიმ იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს ხელისუფლება საარჩევნო კამპანიის დარჩენილ ბოლო კვირებში უზრუნველყოფს „ყველა პარტიისთვის თანაბარი პირობების შექმნას“. ამავე დროს, მილიორი საქართველოში მიმდინარე საარჩევნო კამპანიაში ლენინიზმის ნიშნებს ხედავს.

„ჩვენ მნიშვნელოვანი თავგადასავალი გვქონდა ამ ქვეყანაში, რაც წინასაარჩევნო მონიტორინგს უკავშირდებოდა. ამ არჩევნებს დიდი მნიშვნელობა აქვს თქვენი მომავლისთვის. არჩევნები უნდა იყოს შემდეგი მნიშვნელოვანი მომენტი ევროპაში. ეს არის სამთავრობო და ოპოზიციური პარტიების მიზანი. ცოტა ლენინიზმია საარჩევნო კამპანიაში, რომლის მიზანია მტრების განადგურების მცდელობა და არა - პროგრამების წარდგენა. ამ საზოგადოებაში არ არიან მტრები. მნიშვნელოვანია, პარტიებმა აჩვენონ ხალხს თავიანთი პროგრამები და იდეები. საქართველო მნიშვნელოვანი ერია, მნიშვნელოვანი ადგილი კავკასიაში, დემოკრატიის შუქია და ჩვენ აქ ვართ ამ შუქის ხაზგასასმელად“, - განაცხადა რიკარდო მილიორმა პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძესთან 22 აგვისტოს გამართული შეხვედრის შემდეგ.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თანამომხსენებელთა შეშფოთება

ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის წინასაარჩევნო მისიის წევრთა შეშფოთებას წინ უსწრებდა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თანამომხსენებლების განცხადება, სადაც ასევე მკაცრად შეფასდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის

მიერ ოპოზიციის წინააღმდეგ გამოყენებული „გადაჭარბებული და არაპროპორციული ჯარიმები“.

ევროსაბჭოს ოფიციალური ვებ-გვერდის ცნობით, საქართველოს საკითხებზე ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE) თანამომხსენებლებმა შეშფოთება გამოხატეს ოპოზიციურ კოალიციაში „ქართული ოცნება“ შემავალი პოლიტიკური პარტიების საბანკო ანგარიშების დაყადაღების გამო და განაცხადეს, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დაკისრებული „არაპროპორციული ჯარიმები, ფაქტობრივად, ძირს უთხრის ოპოზიციური პარტიის ნორმალურ პოლიტიკურ საქმიანობას“.

ორმა თანამომხსენებელმა, მაიკლ იენსენმა დანიიდან და ბორის ჩილევიჩმა ლატვიიდან 21 აგვისტოს გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნეს, რომ „ქართული ოცნების“ საბანკო ანგარიშების დაყადაღება აფერხებს ოპოზიციური კოალიციის მონაწილეობას საარჩევნო კამპანიაში. „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დაკისრებული გადაჭარბებული და არაპროპორციული ჯარიმები ფაქტობრივად ძირს უთხრის ოპოზიციური პარტიის ნორმალურ პოლიტიკურ საქმიანობას“, – ნათქვამია განცხადებაში.

„ეს შეშფოთებას იწვევს, განსაკუთრებით კი იმ ფონზე, რომ არსებობს არაერთი ბრალდება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიკერძოების შესახებ და ასევე სანდო ორგანიზაციების, როგორიცაა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ცნობები, რომლებიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ ამ საკითხებზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სამართლიანობას“, – აცხადებენ თანამომხსენებლები.

„საარჩევნო კამპანიის დაფინანსების შესახებ კანონმდებლობის არსი ის არის, რომ უზრუნველყოს თანაბარი პირობები ყველა საარჩევნო სუბიექტისთვის და არა ის, რომ რომელიმე პარტია საარჩევნო მარათონიდან იქნას გაძევებული.“

„მომავალი არჩევნები და მისი დემოკრატიულად ჩატარება გადამწყვეტია საქართველოს დემოკრატიული განვითარებისთვის. ამიტომ, ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას მაქსიმალური თავშეკავება გამოიჩინოს და უზრუნველყოს, რომ ყველა პარტიამ, მათ შორის კოალიციამ „ქართული ოცნება“,

შეძლოს საარჩევნო კამპანიაში სრულფასოვანი მონაწილეობა“, –ნათქვამია განცხადებაში.

PACE–ს ორი თანამომხსენებელი საქართველოში ვიზიტს 11–12 სექტემბერს გეგმავს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წინასაარჩევნო მისიის ფარგლებში.

აღსრულების ბიურო გონზე მოვიდა

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE) თანამომხსენებლების მიერ გამოთქმული შეშფოთებების შემდეგ საქართველოს აღსრულების ეროვნულმა ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება, გადადოს კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალი პარტიებისთვის 2.85 მილიონი ლარის ოდენობის ჯარიმის ამოღების პროცედურა.

იუსტიციის სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ „დღეის მდგომარეობით, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ, კოალიციის ანგარიშების დაყადაღების გარეშე, აღსრულება განახორციელა 122,000 ლარზე, რაც დაკისრებული ჯარიმის მხოლოდ მცირე ნაწილია“.

„მიუხედავად ამისა, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციის გათვალისწინებით და კრედიტორ - სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან კონსულტაციის საფუძველზე, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების გადადების შესახებ“, - ნათქვამია იუსტიციის სამინისტროს განცხადებაში.

საინტერესოა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ სპიკერმა, დეპუტატმა ჩიორა თაქთაქიშვილმა წინასაარჩევნო ვითარებასთან დაკავშირებით ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის კრიტიკული შეფასება „კონკრეტული პარტიის ლობისტების მიერ მიწოდებულ არაზუსტ ინფორმაციას დაუკავშირა“. ასეთივე რეაქცია ჰქონდა მმართველ პარტიას ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თაბამომხსენებლების განცხადებასთან დაკავშირებით. რადიო „თავისუფლებასთან“ საუბრისას საპარლამენტო უმრავლესობის

წარმომადგენელმა და ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს დელეგაციის წევრმა გიორგი კანდელაკმა განაცხადა, რომ თანამომხსენებლები, სხვა არაერთ ადამიანთან ერთად, შეცდომაში არიან შეყვანილი.

საპარლამენტო უმრავლესობის ასეთი კომენტარები, ალბათ, ერთგვარად მიანიშნებს, თუ რამდენად მზად არის ხელისუფლება, გაითვალისწინოს საერთაშორისო დამკვირვებლებისა და სამოქალაქო საზოგადოების შეშფოთება, შეცვალოს რეპრესიული პოლიტიკა და შექმნას ნორმალური წინასაარჩევნო გარემო ქვეყანაში.[12]

მიგვაჩნია, რომ ამ ბოლო დროს უფლებადამცველებისა და პოლიტიკურად აქტიური მოქალაქეების წინააღმდეგ ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული რეპრესიები, რომლებზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ქვეყანაში ადგილი აქვს აშკარა პოლიტიკურ კრიზისს და ქვეყანა იმყოფება წინასაარჩევნო პერიოდში ყოველგვარ ზღვარს სცილდება.

ნაცვლად იმისა, რომ შექმნილი ჩიხური პოლიტიკური მდგომარეობიდან ხელისუფლებამ საზოგადოებას სამართლებრივად მისაღები გამოსავალი შესთავაზოს, რაც აუცილებლად გულისხმობს 1 ოქტომბრის არჩევნების სამართლიანად ჩატარებას, იგი კიდევ უფრო მეტად ძაბავს ისედაც მძიმე პოლიტიკურ ფონს.

მშვიდობიანი მოქალაქეების დაკავებისა და ფიზიკური ძალადობის ბოლოდროინდელ ფაქტებს, ჩვენ განვიხილავთ ხელისუფლების იმ პოლიტიკის გაგრძელებად, რამაც გამოიწვია პენიტენციალურ დაწესებულებებში შექმნილი მძიმე და აუტანელი მდგომარეობა. ბოლოდროინდელი გახშირებული ძალადობის შემთხვევები კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ საქართველოს ხელისუფლება ვერ აცნობიერებს იმ შოკისმომგვრელი ვიდეოკადრების მნიშვნელობას და არ აპირებს ქვეყანაში არსებული უკანონობის გამოსწორებას.

---

12 http://humanrightshouse.org/Articles/18523.html

ამასთან, ადამიანის უფლებათა ცენტრი თვლის, რომ თუკი აქამდე წინასაარჩევნო პროცესები უსამართლობის ზღვარზე მიმდინარეობდა, ამ ბოლო შემთხვევების შემდეგ, არსებობს რეალური საფრთხე, რომ მან მიიღოს შეუქცევადი უსამართლო ფორმა და არჩევნების ჩატარებამ საერთოდ დაკარგოს აზრი. ბოლო დროს განვითარებული მოვლენები გვიბიძგებს ეჭვი შევიტანოთ ხელისუფლების სურვილში, არჩევნები ჩაატაროს მშვიდობიან და სამართლიან გარემოში.